საჯარო სამართლის იურიდიული პირი
პროფესიული კოლეჯი „მოდუსი"

მოდუსი
სსიპ პროფესიული კოლეჯი

ბრძანება № 232

რუსთავი

„06" 09 2021 წ.

2021 წლის მიღების შერჩევის ჩატარების განრიგის და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის #44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „მოდუსი"-ს წესდების მე-5 მუხლის „თ" პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების მე-8, მე-9, მე-10 მუხლების 28-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2021 წლის 16 აგვისტოს N219 ბრძანების N1 დანართის მე-3 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 27 აგვისტოს N827934 ბრძანების, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტის 2021 წლის 2 სექტემბრის N852601 სამსახურებრივი ბარათის და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის 2021 წლის 27 აგვისტოს N827416 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ

1. პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამებზე კულინარიის ხელოვნება, სამკერვალო წარმოება, მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება, ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა შერჩევის პროცესი წარიმართოს ორ ეტაპად:
   - გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2021 წელს საბაზო ზოგად უნარებში ტესტირება;
   - კოლეჯის მიერ ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრება ან შემოქმედებითი ტური;
2. დამტკიცდეს მოტივაციური გასაუბრების ან შემოქმედებითი ტურის ჩატარების განრიგი დანართი N1 შესაბამისად;
3. დამტკიცდეს სსსმ აპლიკანტთა პრაქტიკული მოსინჯვის განრიგი დანართი N2 შესაბამისად;
4. საბაზო ზოგად უნარებში ტესტირების ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 6 და 7 სექტემბერი;
5. ტესტირებისგან განთავისუფლდეს ის აპლიკანტი რომელიც დარეგისტრირდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ტესტირებისთვის დადგენილ ვადაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პირობებში ვერ ახერხებს ტესტირებაზე გამოცხადებას შემდეგი მიზეზის გამო, იმყოფება:

ა) საკარანტინო სივრცეში/თვითიზოლაციაში;
ბ) საკარანტინო ზონაში;
გ) სამკურნალო დაწესებულებაში/იზოლაციაში ახალი კორონავირუსის (COVID-19)-ის დადასტურების გამო.

6. მე-5 პუნქტით გათვალისწინებულმა აპლიკანტმა კოლეჯს უნდა წარმოუდგინოს დასაბუთებული განცხადება თანდართული დოკუმენტით რომელიც დაადასტურებს მეხუთე პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას;
7. ტესტირებიდან განთავისუფლდეს ის აპლიკანტი რომელსაც რეგისტრაციისას შერჩევის გავლის ენად მითითებული აქვთ რუსული, აზერბაიჯანული ან სომხური ენა;
8. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება მისაღები ქულების საერთო რაოდენობის 25 პროცენტით;
9. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
10. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს ანა კაპანაძეს უზრუნველყოს ბრძანების გადაგზავნა IT სპეციალისტისთვის;
11. დაევალოს IT სპეციალისტს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ვებ გვერდზე;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. #6)

პავლე თვალიაშვილი
დირექტორი

პ. თვალიაშვილი

სსიპ „მოდუსი"
LEPL COLLEGE MODUS
216350829